



„ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე, მძინარეც ამახ ვდუღუნებ!“


# კავკასია

## Kavkasia

პროზული, ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№3-4 (79-80) ივლისი-აგვისტო 2015 წელი

ფასი 1 ლარი



**იზა ჯაჭვაძე — 70**  
გვ. 4-6

იუბილე

**ზაზა**  
**ბედულაშვილი — 75**  
გვ. 6



მზია ჩხეტიანი

\*\*\*

იმ ელვას რად არ მოჰყევი  
სურვილის მესტატენითა,  
რომ ჩემი ნისლა კოშკები  
ციდან ხმლით ჩამოგეფლითა.  
რად ემაგ შენმა თეთრონმა  
ზღვა ვერ გადმოვლო ნერევითა,  
შენს ლოდინში რომ მეთრთოლა,  
ისეთი სიტყვაც ვერ მითხარ...  
ის კი სულ ჩოქვით მოვიდა,  
კარზე ვზა ამიტალახა,  
ახლოდან იყო... შორიდან  
იცის სოფელმაც, ქალაქმაც...  
არც ამირანი ყოფილა,  
არც ის, ლალი და უკადრი,  
მაგრამ ის იყო, ვინც იყო  
და სულზე მეტად გუყვარდი.

ბოჩა ხარანაული

### უმსგებრა შოთა ნიშნინიკოშტან

იყო მეტცის მ.  
ვიყავ თვრამეტის — ვგლეჯდი ავშარებს.  
წამოიმართე ბაჯადლო მკერდით  
და მიფხვდი — დღემდე  
რად ვერ წაგვშალეს!!!  
როგორც მთაკაცი, როგორც ზღვაკაცი,  
მშურდი და სიტყვის თქმა არ მადროვე,  
„მთხოვე რაც გინდა!“  
როგორც ზღაპრებში სწვევით ხოლმე  
კეთილ ჯადოქრებს!!!  
... წყვდიადს გუყეფ და ნათელს  
გუგალობ,  
გვედები და ჩემს თავს  
გსტირი თავადგე.  
და მე — მარტოსულს,  
და მე უგვაროს,  
მომენგიე და გამათამამე!  
წამოვედ ფიქრით, მოყმეზე, ვეფხვზე,  
სიცოცხლე მექცა ძვირფას სამიზნედ,  
მტრული სამყარო მეკადა ფეხზე,  
— მე შევხვდი შოთა ნიშნინიკოს! —  
უხემოესით ხარ ცვარნამული,  
შენ — ხარს,  
აღნიშნულს  
ნიშნით ღვთიურით,  
კითხვას გაბედავს ხარანაული,  
„რას ნიშნავს ყოფა  
ამქვეყნიური“.

რომან ზუბაკიშვილი

### ქართველო, დადემ ქართველთან

მე მკერდში მიცემს მამული და სიცოცხლით ვარ დაჭრილი,  
სული მაქვს ამოშანთული წიწამურით და აბრილით.  
მკლაგდენ მარტყოფში, კრწანისში, რა ცეცხლში აღარ მივლია,  
გული კი მისას არ იშლის, გადავრჩი ცოტნედ, ილიად,  
პაი დედასა, ქართველო შე შესაშურად ჭკვიანო,  
თუნდაც ტყვიებით გაგთელონ, მაინც არწივი გქვიანო...  
ცინე თუ ზოგჯერ შიგნიდან ტყდება, მტერო, ნუ გინარის,  
ვერ შეშარიგებ სიკვდილთან, ვარ გორგასალის ჯილაგის!  
ქართველო, დადექ ქართველთან და ვეღარ დაგძლევეს ვერაგის,  
კვალი დატოვა სანთლებად, დღესაც ქრის ტატოს მერანი.  
ღმერთო, მომადლე ჩემს მამულს მისივე ღირსი ვარდობა,  
კვლავაც გედისოს, ლუხუმო, „ლაშარის გორზე შადგომა!“

# „დრო მთავარი და, თუმცა უიშვებო, გვირგვინი გვირგვინი“

გ ა მ ო ხ მ ა უ რ ე ზ ა  
ეთერ ჯაჭვადი-ხმალაძის და გიორგი რჩეულიძეების მონოგრაფიაზე: „ქართული  
ცივილიზაციის სათავეებთან – „ამირანიანის“ ახლებური ხედვა.“

თელავის აკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მომზადდა მეტად საინტერესო მონოგრაფია „ქართული ცივილიზაციის სათავეებთან – „ამირანიანის“ ახლებური ხედვა“, რომლის ავტორები არიან ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები **მომხრამ ჯაჭვადი** და **გიორგი რჩეულიძე**. ნაშრომი შესრულებულია მაღალ მეცნიერულ დონეზე და სრულიად პასუხისმგებლურად ქართული ისტორიოგრაფიის მოთხოვნებს. მონოგრაფიის რედაქტორი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **სოფიო არსენიშვილი** შესაგულ წერტილში აცხადებს, რომ აღნიშნული მონოგრაფია „მიზნად ისახავს ფოლკლორულ, ისტორიულ, არქეოლოგიურ და კულტუროლოგიურ მასალაზე დაყრდნობით ამირანიანის ეპოსის მრავალპლანობიან გაანალიზებას და მიახლოებით დათარიღებას“. ასევე ხაზგასმულია, რომ ამირანიანის კვლევის მაგისტრალურ ხარისხზე ავტორი არა ბერძნულ პრობლემებს შესახებ თქმულებას, არამედ შუამრუტულ გილგამეშის მიხედვით, რედაქტორის აზრით, „აღნიშნული ნაშრომი არის კიდევ ერთი ნაბიჯი, რომელმაც სტიმული უნდა მისცეს ამირანიანის კვლევას ახლა უკვე XXI საუკუნეში“.

ავტორები თვლიან, რომ საქართველოში, ისევე, როგორც მსოფლიოს სხვა ხალხებში, საზოგადოების ყველაზე ადრინდელი რწმენა-წარმოდგენები და ზეპირსიტყვიერი შემოქმედება დღემდე შემორჩენილია მითოლოგიაში. ავტორები, სრულიად სამართლიანად, ქართული

ზეპირსიტყვიერების უმნიშვნელოვანეს ძეგლად „ამირანიანის“ თვლიან და იზიარებენ ცნობილი მკვლევარის მიხედვით ჩიქოვანის აზრს იმის შესახებ, რომ „მას ქართული ზეპირსიტყვიერებისათვის ისეთივე ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს, როგორც შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ ჩვენი მწერლობისათვის“.

ავტორები სიღრმისეულად განიხილეს „ამირანიანის“ ირგვლივ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას, როგორც მისი შესწავლის სათავეებთან მდგომარეობის (თ. ბატონიშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა და სხვ.), ასევე XX საუკუნის დიდი კორიფეების (ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას, შალვა ნუცუბიძის, მიხეილ ჩიქოვანის, დემურ შენგელაიას და სხვ.) მოსაზრებებს. სამართლიანადაა აღნიშნული, რომ „ამირანიანის“ ფოლკლორისტიკის თვალსაზრისით შესწავლამ დროშიც და შინაარსობრივადც გაასწორა მისი ისტორიული თვალსაზრისით გაანალიზებას, რასაც ქართული ცივილიზაციის სათავეების წარმოჩინებისათვის განსაკუთრებული დატვირთვა გააჩნია. არა და, მასში შემონახული უძველესი მითოლოგიების გამოცალკავებასა და გაანალიზებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ ნიმუშის ისტორიული თვალსაზრისით განხილვისათვის.

ყველაფერის ცნობილია, რომ „ამირანიანის“ თემატიკასთან დაკავშირებული საკითხები იმდენად მრავალფეროვანი და უმნიშვნელოვანესია, რომ ერთი მონოგრაფიის ფარგლებში მისი ჩატვეა შეუძლებელია. ჩვენ ავტორთა დამსახურებად მიგვაჩნია ის, რომ ფრიად მნიშვნელოვან საკითხებზე მათ ვასცეს დამატებითი პასუხები და მონოგრაფიაში შეიტანეს რამდენიმე ისეთი, რომელიც დღემდე არ დასმულა ქართულ ისტორიოგრაფიაში. ასეთია შორის უნდა მოვიხსენიოთ „ამირანიანის“ ეპოსის მიმართება ქართულ ცივილიზაციასთან, ამირანიანის სახელის ეტიმოლოგიის შესახებ, მელამის საკითხი „ამირანიანის“ პერსონაჟთა შორის, ოკეანეთის ცნობილი მითოლოგიური პერსონაჟის მათი მიმართება პრობლემასა და ამირანიანს, იამანისა და იასარის რაობის საკითხი.



მონოგრაფიას ახლავს ორი დამატება და დასკვნა ქართულ და ინგლისურ ენებზე, რაც საშუალებას მისცემს უცხოელ მკვლევარებს გაეცნონ ამ მნიშვნელოვანი მითოლოგიური ძეგლის შესწავლის თანამედროვე მდგომარეობას, რამეთუ იგი მსოფლიოს არც ერთი ხალხის მსგავსი ხასიათის ნაწარმოებს არ ჩამოუვარდება თავისი მნიშვნელობით.

ავტორები თვლიან, რომ „ამირანიანის“ მითოეპიკური ხასიათის ძეგლია. ფოლკლორული ნიმუშის მრავალმხრივი ანალიზის შემდეგ ნათელი ხდება, რომ წყალსა და წყლის სტიქიონის მითოლოგიას, რომელიც ერთ-ერთი უძველესი უნდა იყოს მასში, განსაკუთრებული დატვირთვა გააჩნია. მასში წყალი ადრინდელი ყოველივე სივცხლისა და მზარდის საწყისად, რომელიც გავლენას ახდენს სამყაროს კოსმური პროცესის მსვლელობაზე (იხ. ჯამბის საკითხი).

ისევე, როგორც მარდუქი – „ამარუთუქ“ – „ხბო მზისას“, აქედან გამომდინარე მას შესაძლებლად მიჩნია რომ ამირანიანის თავდაპირველი სახელი ყოფილიყო „ამარ-ანი“, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში იქცა „ამირანიანად“. ეს ნაშრომში ყველაზე თამამი თეზაა.

მონოგრაფიაში ხაზგასმულია, რომ „ამირანიანის“ სიღრმისეულ შესწავლას ქართველური ტომების ისტორიის მრავალ საკითხზე შეუძლია პასუხის გაცემა. მათგან უმნიშვნელოვანესია მათი კავშირის საკითხი მახლობელი აღმოსავლეთისა და შუამდინარეთის ხალხებთან. ავტორები წერენ: „გამოკვლევის შედეგებმა საშუალება მოგვცა ვივარადოთ, რომ ქართველ და შუამდინარეთელ ტომთა გზები უძველეს ეპოქაში სადაც იკვეთებოდა. ისინი ერთ ტერიტორიაზე თუ არა, მეზობლად მაინც ცხოვრობდნენ, მონათესავე ხალხები იყვნენ, მაგრამ ეს გზები უძველეს ეპოქაშივე გაიყო“ (1.230). მტკვარარაქსის ხანაში მეცნიერები ადასტურებენ კავკასიელთა ეპონომიკურ და კულტურულ კავშირს შუამდინარეთთან. იგივეს სავარაუდოდ მიიჩნევენ ელამთან, ჰური-მითანის ხალხებთან, ფრიგიელებთან, ურარტუელებთან. აქამე თუ ამაზე თამამად ვერ საუბრობდნენ, ამ ბოლო დროს მკვლევარი **კ. ფიცხელაური** მიერ გამოქვეყნებულმა ნაშრომებმა და განსაკუთრებით სტატამ „ურუქელი მიგრანტები კავკასიაში“, ეს უფრო ნათელი გახადა. მისი მიხედვით დასტურდება კავშირის არსებობა შუამდინარეთსა და კავკასიურ სამყაროს შორის ძვ. წ. V ათასწლეულის ბოლოსა და IV ათასწლეულის შემდგომ პერიოდში, თვლიან მონოგრაფიის ავტორები. ისიც გასათვალისწინებელია, რომ მიგრაცია არ იყო

ერთგვარი და ხანმოკლე პროცესი. ურუქელი მიგრანტები დასახლდნენ კავკასიაში, შექვივნენ ადგილობრივ პირობებს, შეერივნენ ადგილობრივ მოსახლეობას და მის კულტურულ განვითარებას მისცეს „ვეთქებადი“ ხასიათი.

ამჟამად, კავკასიაში აღმოსავლეთიდან მოსულმა ტომებმა (მიგრანტებმა) ენათან ერთად მიიტანეს ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებიც. ესენი უნდა ყოფილიყო ხალხში გაბნეული მითოლოგიური თქმულებები, რომლებმაც საუკუნეთა განმავლობაში მინათებინა უძველესი შინაარსი შეტყველებს, შეეგუვნენ ადგილობრივ პირობებს. მონოგრაფიის ავტორებს ასეთ თქმულებათა შორის სამართლიანად „ამირანიანის“ მიჩნიათ. ამის დასტური გახლავთ ისიც, რომ იგი ფართოდ იყო გავრცელებული მთელს კავკასიაში უკვე უძველესი პერიოდებიდან.

ახლა უკვე გამოიცხადდა არ არის ის, რომ მრავალი თანამედროვე მეცნიერი ფიქრობდეს, რომ „ამირანიანის“ ახალი სულის ჩადგმა აუცილებელია. ვეთანხმები **ეთერ ჯაჭვადი-ხმალაძეს** და **გიორგი რჩეულიძეს** იმაში, რომ ახლებური ხედვა გულისხმობს მის ზეპირსიტყვიერების ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. ამ საკითხში მკითხველის უკეთ ინფორმირების მიზნით ნაშრომში ცალკე განხილული თანამედროვე ცივილიზაციების რაობა, რომლის მიხედვითაც ქართული ცივილიზაცია პერიფერიულ ცივილიზაციათა ტიპს განეკუთვნება და ერთდერთა სასაზღვრო თუ განაპირა კულტურათაგან. მათი მდებარეობა დასავლურ და აღმოსავლურ ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე საქართველოს მთელი ისტორიის განსაზღვრელი ფაქტორია. მონოგრაფიაში მითითებულია, რომ ქართული ცივილიზაციის სათავეები დროში განსაზღვრისას ტოლს არ უდებენ მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ცივილიზაციების წარმოშობის ასაკს. მკვლევარებს მიჩნიათ, რომ ძვ.წ. IV ათასწლეულის ბოლოსა და III ათასწლეულში ქართველი ტომები უკვე ცივილიზაციის სათავეებთან იდგნენ.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც წამოჭრილია მონოგრაფიაში, გახლავთ მელამის შესახებ, რომლითაც დღემდე არც ერთი მკვლევარი არ დაინტერესებულა და, შესაბამისად, არც დასმულა ქართულ ისტორიოგრაფიაში. მელამი არის განსაკუთრებული სახის ბრწყინვალეობა, რომელიც შუამრუტულ მითოლოგიაში ახლავს ასტრალურსა თუ ზომიორფულად დაბადებულ ყველა ღვთაებას. მელამი თვითონ უხილავი იყო, ხილული იყო მისი მრავალმხრივი გამოვლინებანი და ევგეტები. გამოქვეყნებული ნაშრომის ავტორები თვლიან, რომ ქართულ სინამდვილეში შარავანდელი, რომ-

ლითაც მოსილია ფეოდალურ საქართველოში მრავალი მეფე და წმინდანი, იგივე მელამია.

უმრავლეს შემთხვევაში მელამის უხილავი კერა თავზე ადვას ღვთაებას. ქალღვთაებებში მელამი უძველეს შემთხვევაში დაუზღვრული იყო თმებში. „ამირანიანის“ პერსონაჟებს გააჩნდათ მელამი. ამიტომ იყო, რომ თქმულების პერსონაჟ ქალღვთაებებთან თმის შეკრევა მათ დაუძღურებასთან იყო გაიგივებული. მკვლევარები ფიქრობენ, რომ მელამი აქვთ ამირანს, რომელმაც ის დღეისგან მიიღო, ამბრის, ამბრის დედას, მის დას, ყმარს, ამირანის ძმებს და ა.შ. მელამის საკითხი სხვა ხალხთა მითოლოგიაშიც სპეციალურ კვლევას მოითხოვს.


მონოგრაფიის ავტორებს ძალიან საინტერესოდ მიჩნიათ იამან-იასარის საკითხი. ცნობილია, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად „იამანი“ გაიგივებულია ფშაველურულ ღვთაება იასართან (მის ჩიქოვანი), რასაც მოცემული მონოგრაფიის ავტორები არ იზიარებენ. მათი ფუნქციების შედარების შემდეგ დაასკვნეს, რომ იამანი ერთ-ერთი უძველესი პერსონაჟია. იგი ღმერთკაცია, ან ღმერთიც კი. შემდგომი კვლევის მიხედვით შეიძლება ის ერთდერთ ღვთისშვილად ჩათვალოს, მაგრამ არ უნდა გავაიგივოთ იასართან.

საინტერესოა ამირანიანისა და პრობლემის ურთიერთმიმართების საკითხი. მონოგრაფიაში გადმოცემულია ის მსგავსება-განსხვავებები, რომელიც ამ ორ გმირს შორის არსებობს. ავტორი (გ. რჩეულიძე) მიიჩნევს, რომ დიდი განსხვავებაა პრობლემისა და ამირანს შორის (იხ. 1. 182). ამირანი შორის დგას პრობლემისგან – ვარაუდობს მკვლევარი, მასვე მიჩნია, რომ „ამირანიანის“ ქრონოლოგიურად წინ უნდა უსწრებდეს პრობლემისს. ამდენად ამირანის ეპოსი არ შეიძლება წარმოშობილი იყოს პრობლემის მითის გავლენით.

ამირანის და პრობლემის მსგავსი პერსონაჟების არსებობა სხვა ხალხების მითოლოგიაშიც დასტურდება. თავში „მაუ“ – ოკეანეთის პრობლემის თუ ამირანის განხილულია პოლინეზიელთა პოპულარული მითოლოგიური სახე მაუ და მისი მიმართება ზემოთდასახლებულ პერსონაჟებთან. მკვლევარი **ეთერ ჯაჭვადი-ხმალაძე** იმ დასკვნამდე მიდის, რომ მსოფლიოს ხალხთა მითოლოგიური წარმოდგენების შესწავლა ნათელს ხდის, რომ ყველა ხალხს ჰყავს თავისი ამირანი, პრობლემა, ჰერაკლე, გილგამეში, მაუ და სხვ. გმირები მოქმედებენ ისე, როგორც მშობლიური ტრადიციები კარნახობენ.

ასეთია გამოცემული მონოგრაფიის შინაარსი ზოგადად. ვერ ვიტყვი, რომ მან მიიძღვა ამ უპირველესი მითოლოგიურ წყაროსთან დაკავშირებული ყველა საკითხი. ამის გაკეთება ერთი მონოგრაფიის ფარგლებში შეუძლებელია, მაგრამ მისასაღებელია, რომ ეს იყო მცდელობა „ამირანიანის ახლებური გაანალიზება“, რაც არც თუ ისე წარუმატებლად განხორციელდა. ეპოსის მეცნიერულად შესწავლა სხვა მკვლევარებსაც უცდის. როგორც მონოგრაფიის ავტორები აცხადებენ ჩვენ ყველანი ხომ ამირანის შვილთაშვილები ვართ და თავაწეული ვიხედებით მომავლისაკენ. იმედი გვაქვს, მოვა დრო და თავს აიშვებს გმირთა გმირი!

მოგონებანი ჩემს პირველ ჟურნალისტურ ნაბიჯზე



ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჩვენი თაობის შესანიშნავი წარმომადგენელი, კულტურის დამსახურებული მოღვაწე, უნივერსიტეტის პიროვნება, მთისა და ბარის ქომავალი, პატრიოტი, დიდი მამულიშვილი – მისა არაბული, რომელმაც განუზომელი ღვაწლი დასდო ხევსურეთს და მთლიანად საქართველოს.

გასული საუკუნის 80-იან წლებში ხევსურეთის სათემო საბჭოს გამგებლობიდან, ბარისახოს სკოლა-ინტერნატის დირექტორობიდან გადმოსწავლა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც დიდი ენთუზიაზმით ემსახურებოდა ახალგაზრდა თაობის აღზრდას. ის იყო ფოლკლორის შესანიშნავი მცოდნე და მკვლევარი.

მოღვაწეობის ბოლო პერიოდი მან ახლად ჩამოყალიბებულ რუსთაველის საზოგადოებაში დაჰყო. იგი ამ საზოგადოების თავმჯდომარის – ბატონ აკაკი ბაქრაძის მოადგილე იყო.

შემდეგ ბედისწერამ, ეს შესანიშნავი ვაჟკაცი ბოლო 20 წელიწადი ლოგინს მიაჯაჭვა... და ასე, სარეცელზე მწილიარე იზიარებდა ჩვენი ერის ტიკიკიკი და სინარულს.

მისა არაბულის ახლობლები და სულიერი მეგობრები სწორად დაიარებოდნენ ამ ჩინებული ხევსური ვაჟკაცის სახლში, გულს უხარებდნენ და ართობდნენ განგებვისაგან განწირულ ამ გულმტკივან, ბედკრულ ხევსურს და დიდი სიყვარულით უმსუბუქებდნენ ღარდს თუ ვარაშს...

XXX

ხევსურეთში მოგზაურობის დროს, თან მასწავლა ჩემი ერთ-ერთი მეგობარი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებული ნათელა თათაშვილი.

ბარისახოდან კორმაში რომ ჩამოვეყვიით-დით, ჩვენი მეგობარი მისა არაბული იყო და გზის პირას, სადაც კლდიდან წყარო მოჩუხჩუხებდა, იქ შევეჩერდით. მალე ბარისახოს სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, სასწავლო ნაწილის გამგე და პოეტი გიორგი ლიქოკელიც შემოვივითრდა.

როგორც იქნა დიდ ბორტებიანი, გადახურავი მანქანა მოვიდა და დიდი სინარულით გავეშავურეთ სამოთხისდარ და ჟრუანტელის

მომგვრელ პირიქითა ხევსურეთისაკენ. მისა არაბული და გიორგი ლიქოკელი მთელი გზა გვაცნობდნენ ხევსურეთის ისტორიას, იქაური მოსახლეობის იმდროინდელი ცხოვრების პირობებს და ამბებს.

ეს იყო ჩემი პირველი მოგზაურობა დედისა და მამის, ამ წმინდა და სამოთხისდარ კუთხეში...

ბოლოს შატლში შევეჩერდით...

მის იქით სოფელი ფიჭვნია, მდინარე არღუნის მოპირდაპირე მხარეს მდებარე მთაზე, ისტორიულად, უფრო იქით გზას, შვიდ კილომეტრამდე, ხევსურები ფლობდნენ. რუსეთ-ჩეჩნეთის ომის ცნობილი მოვლენების დროს რუსეთმა საზღვარი გადმოსწია და ნასოფლარ ფიჭვნია დაბანაკდა. ხეობას დღესაც ზემოდან დაჰყურებს რუსეთის საგუშაგო... ვიდრე მარჯვნივ გზას გადაუხვევთ, იქვეა მეოცე საუკუნის დასაწყისში შავი ჭირით დაღუპული მოსახლეობის აკლდამები.

XXX

ჩვენ შატლის ძველი კოშკების მოპირდაპირე მხარეს არსებულ ვაგონში დაგბანაკდით. ცეცხლი და ვანიტუი და გვიანობამდე მოვილხინეთ. იქვე ახლოს ხევსურების რამდენიმე ოჯახი იყო შემორჩენილი.



დაახლოებით ორმოცი-ოდე წლის წინ, შატლის მძალდასუსტდა, სადაც ხევსურების პატარა სასაფლაოა, არცერთი სახლი არ იდგა.

XXX

სამწუხაროდ, დღეს აღარც ჩემი თანამოაზრე ხევსურეთის გვირგვინები და უკეთილშობილესი ადამიანები – აღარც ბატონი გიორგი ლიქოკელია, აღარც მისა არაბული. ასეთი პიროვნებები დიდხანს უნდა ცოცხლობდნენ, თუმცა ბატონი გიორგი ლიქოკელი უკვე ასაკოვანი გახლდათ, მისა არაბული კი ჯერ კიდევ ახალგაზრდა. ოცი წლის განმავლობაში სარეცელს მიჯაჭვული, განაწამები, სიცოცხლის ტრფიალი.

განა ასეთი ადამიანები და სამშობლოს ერთგული შვილები ბევრი გვყავს? ისინი დიდხანს უნდა ცოცხლობდნენ, მაგრამ რა ვუყვით ბედისწერას?..

იხს ახსჯამა

მთის მგოსანი

სამოცდაათ წელს გადაცილებულ თუშ სახალხო მთქმელს რამზაზ ხოსიკურბიძეს გაუხარელი ბავშვობა ჰქონდა. მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე მამამისი ფრონტზე წავიდა და აღარ დაბრუნებულა. ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანში ოთხი მცირეწლოვანი შვილი ავადმყოფი მეუღლის აშარა დატოვა. ომისა და ომის შემდგომ წლებში ამ ოჯახის და არა მარტო მათი გაუსაძლისი ყოფა კარგად ჩანს პოეტის მიერ დედისადმი მიძღვნილ გულსაკლავად მკვნივარ ლექსში.

წარმოუდგენელი ვაჭირების შემყურე ნიჭიერი ყმაწვილი იბულებული გახდა ოთხი კლასის დასრულების შემდეგ მიეტოვებინა სკოლა და მამაბაბურ საქმეს როგორც თუშები ამბობენ, „საკაცო საქმეს“ შეესდგომოდა – მან მწემის კომბალი აიღო ხელში და პირველივე წელს შორეული ნოღათის და ყიზლარის საზამთრო საძოვრებისკენ მიმავალ გზას დაადგა. როგორც ჩანს, სახალხო მთქმელმა პოეტის „ეკლანი გზაც“ ამ დროიდან დაიწყო, რამეთუ მისი პირველი ლექსი 1951 წლით არის დათარიღებული.

რევან ხოსიკურბიძის ლექსები თემატურად მრავალფეროვანია – სამშობლო, მშობლიური კუთხე, წინაპრები, სიყვარული...

სხვაფერე კი, მკაცრად ნურვინ განსჯის მის ლექსებს, რადგანაც ყოველი სტრიქონი წრფელია, გულისგულიდან „ამოთქმული“ და მკითხველამდე იმედით მიტანილი...

დავით იუპურიძე

გთავაზობთ რამდენიმე ლექსს მისი პოეტური კრებილიდან

ბამოთსოვება

პაპაჲ, ბერდედაჲ, მშვიდობით იყვანო, დღეს უმჭკვლად უნდა გადაგყვ ფარას ხაჩქაროიც მაქვს ქანუს გადაგვიდ, თვარამ ბილიკებს თოვლ-ჯანდ დაფარავს. არ მინდ ამ გზებზე აკქარ დაძეცეს, ისიც არას მინდ იდარდოთ ჩემზე, გაზაფხულამდის ვერც არას ვივებო, რაგვერ გადაგვად დაქუშრულ მთებზე. ვიც ბევრ სწუნდებით პატარ რო ვარ, არაფერ მიშავ ჩემ პაპა, ბერდე, მე აწაც მაქვს სისხლ ძველ თუშების, არ გამომხლადებ გადაგვად მთებზე. ნუ შესწუნდებით, მოგ გაზაფხულიდ ყიზლარით მოვალ, თქვენ ახლოს ვიქნებ, მეტა ვთხოვ, ბერდე, დამიქსოიდილ თუშურა წინდაებიდ და ლამაზ ჩითებ.

უარს ნუ მეტყვი

ვიც ყიზლარისაკვ წასვლად გვყვანობ მთებო, ვერ გზებიდ არ ჩამიკეტოთ,

ერთ სათხოვარ მაქვ, იქნებ გამიგოთ, უარს ნუ მეტყვიო, გენაცვლეო მთებო. მე აქ მრჩებიან უსაყვარლესენ ვანგატეხილებ პაპაიდ, ბებო არ შემიცითო ფარსმას დამრჩალებს კალთა დახურეთ ყინვაში მთებო. ზამთარ გაგალის, მოგ გაზაფხულიდ, პირველ გადამოვალ ქანუს ნაპრალებს, ვერ თქვენ დაგლოცათ სიკეთისათვის, მემრ ბებო-პაპას ლოდნით დადღეილებს.

შენ გეტრფის მრავალი ვაშკაცი

ლოყები წითლად ვივლავს, თვალეები მაყვლის ფერადა, ტუნებს დიმილი გამშვენებს ნათობენ ალისფერადა.

ეგ ყონრისფერი წამწამანი შუბლს გადაგვრია შავადა, ბრილის ყვლს შავი მძივები შემოგჭდობიან ხალადა.

შენ გეტრფის მრავალ ვაჟკაცი ლამაზს და ლერწამს ტანადა, ყველა გამაზადებს სიურპირის დაგისგას დედოფალადა.

როგორ ლამაზად დგანან

როგორ ლამაზად დგანან კაგკასიონის მთები, გადმოჰყურებენ კახეთს ჭაღარა მწვერვალეები. იქ უკვე ცაგა, პყინაგს, ჩამოთოვლიდან გზანი და მაინც მხნედა დგანან მთანი, მაღალნი მთანი. ბარად მზე ისევ მზეობს და ყვავილნარობს მდელო, დმერთმა დალოცა, ვინაც გიწოდა საქართველო.

ჩემო კოპწია თუშეთო

ჩემო კოპწია თუშეთო, კარგი ხარ სანახაგადა, ვინც განახავს არ ავიწყდები, მიპყვები ნატგრის თვალადა. მართლაც და შენი მშვენიერებით შეუდარები მხარე ხარ, ზაფხულში ამხვლელ-ჩამხვლელის ყველასი მზე და მთვარე ხარ!

პელოს ცერიდან ნაყავიროვლის

პელოს ცერიდან ნაყავიროვლის ელგამ დრუბელთა მკერდი გახია, მესი ჩამოსწყდა ცის გაელგებას და ყველაფერი ცეცხლში გახვია. გაღმ-გამოდმიდან აღმუვლდნენ მთები, ცის ქუნისლ აპყვა მთელი ხეობა, ბნელს, წყვიდადს ჰკვეთდა ცეცხლი დრუბელთა

მთებიდან — მთებზე მონაცვლეობდა. თენების ხანზე დეღგმა მიწენარდა, დადლილი მთები ძილს მისცემოდნენ და დრუბლები კი ფთილგ-ფთილგებად მწვერვალეებს ქვევით მუყუებოდნენ.



რევან ხოსიკურბიძეს მარად ეამყებოდა თუშეთის ცნობილი გმირების — ზეზა გაფრინდალის, შეთე გულუხაიძის, თინასი თუ თავისი წინაპრის ხოსიკის თავდადება თუშეთისა და კახეთის გადარჩენაში. გულწრფელია და სულში ჩამწვლში მისი სტრიქონები. ნოყერი და საიმედო გამოღვა „ობოლი ფიჭვის ფესვი და ჩრდილი“. და დაიბადა მისი ახალი წიგნი „ალაზნის სიმღერა“. აქ ჩვენი სათაყვანებელი გმირები ცოცხლდებიან და გვასწავლიან სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულსა და მისთვის თავდადებას.

ნაზი ხაპრიძე




70 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე იზა ჯაჭვასიძის ასული ჯაჭვასიძე-საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა, სადაც ნათქვამია:

ჩვენი ძვირფასო და საყვარელო იზა! საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები წრფივად პატივისცემით მოგესალმებიან ჩვენს ერთგულსა და ნაცად თანამოქალაქს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს, ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 40 წლისთავს.

რა დრო გასულა თქვენი ლიტერატურული დებიუტიდან, 1975 წლიდან, როდესაც ჟურნალ „ნობათში“ გამოაქვეყნეთ პირველი ლექსები. მას შემდეგ თქვენი ლექსები, მხატვრული ნარკვევები, პუბლიცისტური წერილები პერიოდულად ქვეყნდება ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე წიგნებად. თქვენი შემოქმედება ის პატარა, თითქოსდა, შეუმჩნეველი ნაკადულია, რომელიც ჩუმად და უხმაურად ერთვის დედამდინარეს, მაგრამ იმ წმინდა და ანკარა ნაკადულთაგანი, ურომლისოდაც მდინარეს მდინარე ალარ პქვია.

„სახლობანას თამაში“, „გვერდები“, „ცრემლის ყელსაბამი“ — აი, ის პოეტური კრებულები, რომლებმაც თქვენი ოცნებები, ზმანებები, სანატრიონი დაიტიან. ამ კრებულების მიღმა დგას, ერთი შეხედვით, ლერწამით სუსტი და სიფრთვანა ქალბატონი, რომელიც უმაღლესად მტკიცე და შეუვალ არსებად გადაიქცევა ხოლმე, როცა საქმე მშობელი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს ეხება. ქართული მწერლობის ნიადაგად გიხმობენ და თქვენც ნიავეთი ელამუნებით საქართველოს მთა-ველს, მის წარსულსა და მომავალს. მართლაც რომ ცრემლის ყელსაბამი გვიდათ და თავდაც ცრემლად იღვრებით, როცა ზედათ თქვენს სათაყვანო მამულში რა დაყენებით შემოდის დაისის ფერი, როგორ უპირებს ყველას და ყველაფერს წაბილწვასა და იავარქმნას...



ერთგულად მიჰყვებით ქართული პოეზიის ტრადიციებს, ჩინებულად იფენებთ ჩვენს ამოუწურავ, ზოგჯერ მხოლოდ მთაში შემორჩენილ ლექსიკას, ფოლკლორულ ნიმუშებს...

თქვენი საუკეთესო ლექსები თარგმნილია უცხოურ ენებზე და შეტანილია რუსულ და სომხურ ენებზე გამოცემულ ქართული პოეზიის ანთოლოგიებში.

თქვენი პოეზიის ორგანულ გამრეხებას წარმოადგენს პუბლიცისტია. თქვენი პუბლიცისტური კრებულები „მიყვარხარ, მთაო ტიალო“, მთაში დაისის შემოდის ფერი“, „ნისლივით მთასა გვიდავარ“ აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციის დასტურია.

თქვენი კინოსცენარების მიხედვით გადაღებულია ისეთი სატელევიზიო ფილმები, როგორცაა „სტორის ხეობა“, „პანკისელი ქისტები“, „ჭიჭაკის ხეობაში“...

სხვადასხვა დროს მუშაობდით გაზეთების „სახალგაზრდა კომუნისტის“, „კომუნისტის“, „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციებში. დამფუძნებელი, გამომცემელი და მთავარი რედაქტორი ხართ გაზეთ „კავკასიისა“.

თქვენი მრავალწლიანი მოღვაწეობა სათანადოდ დაფასდა. მონიტორინგი გაქვთ ვაჟა-ფშაველას, ნიკო ნიკოლაძის, გაბრიელ ჯაბუმანურიის სახელობის, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ პრემიები; საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტისა და ქალთა საბჭოს საპატიო სიგელები, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის წოდება. არჩეული ხართ ჩარგლისა და პანკისის ხეობის საპატიო მოქალაქედ. ჩვენი იზა!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს ძვირფას კოლეგას, გისურვებთ ღიძნანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და სრულიად დახარჯვას თქვენი სათაყვანებელი სამშობლოს სამსახურში.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ბილიცავი..

შენი ქვეყნის მოვლა-პატრონობაში, ჭიუხ-ებზე აღმა-დაღმა შეჭირვებულთა გამოსარჩლება-სხნისთვის გამართულ რბოლაში, მთის ბილიცავზე ქარსა თუ წვიმაში მუხლჩაუხრელ კეთილბუნობაში, ისედაც გამხდარსა და სიფრთვანას ხორცი ლამის შემოგაცვდა და მარტო გულიდა დარჩი.

ყოველის დამტკიცე, მომთმენი, მიმტკიცებელი, უშიშარი გული.

მიკვირს ისე დაუკვენსებლად ზიდე უძმი-მესი საზოგადო ტვირთი, რომ ბევრ ვაჟკაცს შემოურდებოდა.

მშვენიერი პოეტისა და ერთგული დედის ამ ლამაზ ასაკშიც შეუცვლელი იზა ჯაჭვასიძე ხარ, ჩვენი იმედი და დასაყრდენი.

გილოცავ და ყველა პირადი თუ საქვეყნო ნატვრის ასრულებას გისურვებ.

რამაზ მიხველამძე ქალბატონო იზა!

გილოცავ დაბადების დღეს, დიდ იუბილეს. ისარე და იბედნიერე შენს ერთადერთ ვაჟმშვილთან — ლამაზ გიორგი კრავიშვილთან, და-ძმებთან: ირაკლი, რენო, ზოია, ანზორ ჯაჭვასიძეებთან ერთად ოჯახებით, ნათესავებით, მეგობრებით, შენთვის შეტად ძვირფასი დედასაქართველოთი.

მრავალი შემოქმედებითი წარმატებებით გაგვხარებინოს სამშობლო, რომელიც ასე თავ-დავიწყებით გიყვარს და ერთგულობ, უშიშრად გებრძვი უკეთურებას.

რომან ზუჰაპიშვილი

ფერიცვალეების დრო დადგა კარში, ფოთლები ნელი ტაბატი ცვაფა, ბელურასავით ერთგულად შეგონი ზამთარს, უშენოდ რარიაგად მციაფა, ფერიცვალეების დრო დადგა კარში, დღე ფერმისდელი დამის პირია, ცა ტირის უხმოდ, სწორედ იმგვარად ქალები წარსულს რომ მისტირიაან.
\*\*\*
გულმკერდგაშლილი, ნაქარგი მაწა ზურმუხტის ფერი ვარ, ამ მთათა ნიაგქარი და ზედ მონაგარდე შეგლი ვარ. ხეობებს შუა ჩამდგარი მთის მობიბინე ველი ვარ, მუდამ ამაყად მშინარალი ალაგვრდი და გრემი ვარ. მუნღჩაუნრელი მწყემსი და კეთილი საქმის მქნელი ვარ, ხმალშემართული გუშაგი, სიმართლის პირში მთქმელი ვარ, მაშულო, შენით მშვენი ვარ, განა სხვისი ვარ, შენი ვარ!

ბაჰამი «კავკასიის»

აღრე „ლიტერატურული საქართველოს“ გამოსვლას დღესასწაულივით ველოდებოდი, მაღლობა ღმერთის ისე განახლდა... ახლა, მიუხედავად დღევანდელი საგაზეთო ბუქმისა, „კავკასიის“ ყოველი ნომერია ჩემთვის ერთ-გვარი სიხარულის და სიახლის მომტანი. ის ჩემთვის არც მხოლოდ გაზეთია და არც მხოლოდ ინფორმაციის წყარო. იქიდან ჩემი ბებია-ბაბუები, ჩემი წინაპრები მელაპარაკებინ... „კავკასია“ ჩემი მთიანეთის, ჩემი მთიელების სულის ანარეკლია. ასე მგონია ეს გაზეთი გაზეთი კი არა, სამშობლოში სამშობლოს მონატრებული ადამიანების სულისთქმია, სიყვარულით დარწყულდება...

როცა ახალ ნომერს ვიღებ, სულზე ვდგავარ როდის მივალ სახლში, როდის განვმარტოვებ და გადავმდი... რა მნიშვნელობა აქვს ვინ, ან ვისზე იქნება — გონა ხარანული თუ ტარიელ ხარხელაური, თემურ ჩალაბაშვილი თუ კობა არაბული, მანანა ჩიტიშვილი თუ ელდინო საღარაძე... ბალათერ არაბული თუ... მურღვა არდოტელი... თუ შინა სეთაგურზე, თუ მანანა დანგაძეზე, თუ, თუ... ვინც ან ვისზეც არ უნდა იყოს სტატია, წერილი, ვიცი სულით სორცამდე მამულზე შეყვარებული, კავკასიის ღვიძლი შვილია ის...

გაახაროს ღმერთმა იზა ჯაჭვასიძე, რა მაღლიან თებებს ეხება, რამდენი ზნეკეთილი და რაინდული სულის ადამიანი გავიცანი ამ მართლაც საოცარი გაზეთის ფურცლებზე... ჯერ მარტო გვარები ნახეთ, რა გვარებია — სუფთა, ნათელი, ცოტა უცნაური და საკრალური გვარები... ამ ჭუჭუში, ამ ბაზარ-ქალაქში სული გეხუთება, პრესაც, ტელევიზიაც გახრჩობს, გრგვენის... „კავკასიასთან“ კი თითქოს მთაში ხარ, ცასთან, უფალთან ახლოს ხარ, თითქოს ზეციური საქართველოს ბებიები გადმოსულან გაზეთის ფურცლებზე და გვიყვებიან როგორები იყვნენ, როგორ იბრძოდნენ, როგორ იღწოდნენ და როგორები უნდა ვიყოთ ჩვენ, როგორ უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი, გვანსენებენ „ვისი გორისანი ვართ“...

„კავკასია“ არ არის მარტო მთის და მთიელების გაზეთი, აქ მთელი საქართველოა, მეტიც მთელი კავკასიაა — ჩჩნეთი, ინგუშეთი, ჩერქეზეთი, დაღესტანი... კავკასია მილიარდი წლისაა, აქედან წაიღეს ბერძენებმა სიბრძნე („ოქროს საწმისი“), აქ, ფაზისის მთაზე მი-ჯაჭვული ამირანი (პრომეთე)...

„კავკასია“ ჯერ 15 წლისაა, უკვე ბევრი თქვა და კიდევ ბევრს იტყვის...

გილოცავთ იუბილეს! კვლავ მრავალ წარმატებას გისურვებთ შემოქმედებით გზაზე — პოეზიასა და ჟურნალისტურ მოღვაწეობაში!

ჯუშამბერ გომორიძიანი

მიტოვებულ სოფელთა დარღის ეგსაიღველე

მთიდან მოდის მისი ფესვები, მთაშია მისი სული, მთაა მისი საფიქრალი და სა-პატრონობი. ამიტომაცაა, რომ ეს ნიადაგი (პოეტთა სამომო სიყვარულით რომ შეარქვა იზა ჯაჭვასიძეს) მთაზე ფიქრში ათენ-აღამებს. ფშავი, ხევსურეთი, თუშეთი, ხევი გამხდარა მისი სადარდელო, დაცლილი სოფლები, მხოლოდ ქარისა და არწივთა სამფლობელოდ რომ ქცეულა საქართველოს ეს უღამაზენი კუთხე.

იგი ორმოცი წელი ქართულ სიტყვაკა-ზმულ მწერლობას ეფერება დაწყებული „ნობათში“ გამოქვეყნებული პირველი ლექსიდან და მოსული დღემდე — საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტამდე, მწერალთა კავშირის წევრობამდე, ვაჟა-ფშაველას, ნიკო ნიკოლაძისა და გაბრიელ ჯაბუმანურიის სახელობის პრემიებამდე. მისთვის ყველაზე დიდი

პრემია და ჯილდო იმ ფშაველთა და ხევსურთა მშობა, ფიცვერცხლიანობა და ღიმილია, რომელიც ჯერ კიდევ შემორჩენილიან მთასა და რომელთაც ეიმედებათ იზა ჯაჭვასიძე. პუბლიცისტური ნარკვევებით, მთისათვის საკადრის ლექსებზე რომ არაფერი ვთქვათ, ეხმიანებოდა და ეხმიანება იმთ სატკივარს, რკინის ქალამნებამოცემული ჩვენი ფშაველი დაიკო მუდამ მათი სატკივრით ცოცხლობს და ახსენებს ძლიერთა ამა ქვეყნისათ, რომ მთაა საქართველოს გადამრჩენი.

მართლაც გულში ჩამწვდომია ჩვენი იზა, შენი სცენარებით გადაღებული სატელევიზიო ფილმები: „სტორის ხეობა“, „პანკისელი ქისტები“, „ჭიჭაკის ხეობაში“; პუბლი-ცისტური კრებულები, „მიყვარხარ, მთაო ტიალო“, „მთაში დაისის შემოდის ფერი“, „ნისლივით მთასა გვიდავარ“ და სხვა.

გუსურვებთ პოეტსა და კოლეგას ბედ-

ნიერებას, ჯანის სიმრთელეს, კიდევ დიდხანს მღვარიყოს თავისი ერთგულებითა და გამტანობით, თავისი საქმითა და კალმით მშობელი მიწისა და ხალხის კეთილდღეობისათვის. ჩვენს მილოცვას კი შესანიშნავი პოეტის ალაზა ხაიაურის ქალბატონ იზასადმი მიძღვნილი ლექსიდან ერთი სტროფით დავაძლიერებთ:

„გაქვს ენერგია მთების მდინარის სული რჩეული, — გული გრძნეული, და ქალბატონი კიდევ ვინ არის იყოს მფლობელი ამ განძეულის?!“ ისარე, ჩვენი იზა!

შენი კოლეგების სახელით მამუშაპა ვაჟაპიძე „საქართველოს რესპუბლიკა“

იზა ჯაჭვამის

წარწერა მის წიგნზე „ნილივით მთასა ვკიდევარ“ ჩვენს მთებს, ლამაზი მიწის მაყრიონს, ამშვენებს თოვლი, წვიმა და ქარი, მათ ყვავილებად გულზე აყრიათ ლექსი ჩარგული დიდ წინაპარის.

ვინც შთაგვაგონებს, მკერდით დაფიცავთ ქართული მიწა, ქართული ზეცა, შენც მის კვალს მისდევ, შენც მისებრ იწვი, შენც სიყვარულის ბილიკებს კეცავ...

შენ დაამშვენებ ჯისვთა საუფლოს, როგორც ცის ნაბი, ცის სტიქიონი, დაეკიდება მთას ნისლზე უფრო შენი სიტყვა და შენი სტრიქონი.

ხვთისნავარ არჩემავშილი

... გზარი ჯაჭვამი გალანად ბაქრამს!!!

(ექსპრომტად ფურნალისტსა და პოეტს - იზა ჯაჭვამის) - იზა, გილოცავ... შემოკრა წენამ!!... ჰა, შენი 70 წელი! - ოთხმოცის შემდეგ... ასის შემდეგაც კვლავ გახარებდეს - სიცოცხლის გელი!!!

... გვარი ჯაჭვამი ვაღიანად გაკრავს! - მიყვები გუთანს და კვლიც ვაგყავს... - დედა ტყვილად არ გირწევდა აკვანს! -

ვაჟა-ფშაველას უმცროსო დათო შემოქმედების იარაღი-დამლით ცხოვრების ჩარხის ტრიალზე დაობ! -

რომ ვერ წაგვლიტონ დედა-სამშობლო ისმის ღმუხილი გამომღამა-გაღმა! - იქით მგლებს და აქით ღომების! - არ ფრთხილი! -

რატომ ნისკარტა ღალღა!!!

- რა ვქნათ?! სამშობლო სად გადავშალეთ?! ძმობილ ლეზარდეს ტყე-ნაძენარებში თუ ჭიუხების სხვა საგაღაგნოს?! - გვარი - ჯაჭვამი ვაღიანად გაკრავს!!!

ჰა, შენი 70 წელი, ... ოთხმოცის შემდეგ, ასის შემდეგაც მწვანე გქონოდეს სიცოცხლის გელი!!!

ლიდა სტვილია

იზა ჯაჭვამის

მთიდან ბარამდე, ბარიდან მთამდე შენ დაატარებ მამულის ნაღველს, თურმე ვაჟიანს ლექსით თან გვდევ, თავს გვგვლები და თავს კი არ ამხელ.

ცვარ-ნამი ცრემლად თუ არ გდენია, თვლი, რომ ვერც დილას შევნი სრულიად, თუ ცისარტყელა ჟრუნანტელია, ზეცა სათუთი შენი სულია.

ჩემი სათქმელიც ბევრ აბრისოს უთქვამს, ერთ ფიქრთან შეგვეყრის

ერთი ელვის გზა... ეგ შენი ლექსი - ყვავილთა სუნთქვა არწივის ფრთათა ნიავს ესისმრა.

ჯიში იქმს, მოყვასთ რომ იძენ უხვად, კვლავ აუსრული ნატვრად, დაე, მთებს! სხვათა ტრფიალში მიმოკარგულხარ, და საკუთარ თავს ასე დაეძებ.

საგზლიად იკმარებ იმედს და ღიმილს, სიგრცეს წინაპრის მზერით გაჰყურებ, შენს გულში არის გზა გამოვლილი, ყველა მთა, ქვეყნის მოჭირანხული...

რომან ზუბაკიშვილი

იზას

ისეთი გულმართალობით იცხოვრა ჩვენმა იზამო, შეხედავ, გაგინარდება, შეაქებ, მა რას იზამო,

მზე უნდა გენთოს სანთლადა ქვეყანა ტაძრად იწამო, უნდა შეგაკრთოს ჩურჩულმა ცვრიანი ბაღახისამო.

მთებმა ძმად შეფიცულებმა ერთხმად რომ გათხრან ბანია სულმოკლეებს და გულგრილებს არ მისცე ვასაქანია.

ტანთ გეცვას ჯაჭვის პერანგი ფეხთ-რკინის ქალამანია. წადი და კვალი სიკეთის კვლავ ტებნე, დიდი ხანია...

ეს გაზაფხულიც მოვიდა, ქალური სინარნარითა, მზემ რომ არა თქვას სათქმელი, გული სიტყვითაც გაიშობა.

გვიყვარხარ, გვაძამაყები, ამაზე მეტი რა გითხრა სულ ია-ვარდი გეკრიფოს, გაღიმებული სახითა.

რომან ზუბაკიშვილი

აქვთ სიბნელე და სკამი

იზას!

აქვთ სიბნელე და სკამი, აქვთ საჭმელი და ფული, შენ ხარ, მამულო ჩემო, მათთვის მეწველი ფური,

აქვთ დაბაბი და ღიბი, მიმთხვრა ბირუტყვეული, ყველაფერი აქვთ, მაგრამ არ აქვთ სული და გული.

შენ არ გაქვს დათ სკამი, არ გაქვს ოქრო და ფული, შენ გაქვს ცისფერი ფრთები... და მაღლიანი გული...

ირაკლი ვაშაყვამი

ჩემო იზა! გოლორავ იუზილეს! გისუხეებ შემოქმედებში სხიხურს! სვეთა მიწველათქ 2015 წ. 7 მარტი.

უმნ ხარ პირველი

ზოგი ლექსს დაწერს, ზოგი დაბარავს, ზოგი სულს იგებს, დეკოთ, იელით ვინც ეფერება თავის მთას და ბარს, მათ შორის მაინც შენ ხარ პირველი!

დადისარ ფეხით, ცვითაც ქალამნებს, გულის ფიცარით კორტნი ჭიუხებს, დარუბანდიდან დარილაამდე, ვეფხისტყავით ვადაჭიმულებს!..

დადისარ, თვლემა ღმერთმა გაშოროს, წმინდა ნინოვით სულ ფეხშიშველი... ვინც ეფერება ასე სამშობლოს, მათ შორის მაინც შენ ხარ პირველი! -

გიყვარს შენი ცა, შენი ვენახი, ოქროც არ გინდა გადამთიელის, ვინც დედულ-მამულს ასე შეჰხარის, მათ შორის მაინც შენ ხარ პირველი!..

ხარ ერთგული და ხარ უღალატო ამ ყველაფრისთვის ღმერთიც ვიშველის, ვინც ქართველობა უნდა ატაროს, მათ შორის, იზა შენ ხარ პირველი!..

იზა ჯაჭვამის

დიდი ღა-ძობის ნიშნად დაო, იზა!

ხარ ჭეშმარიტად სიღრმისეული, მაღლის მთევსელი, ქალი გრძნეული, ნუგეშისცემა ნუგეშძლეულის, ხმის ამოღება - ხმაწართმეულის,

გაფხიანება - ფხაგალეულის, გაფრთიანება - ფრთადამსხვრეულის, გაგულადება - გულით სხეულის, გამუნლადება - მუნლწაქცეულის,

დაბურადება - ბურდალეულის, გამოფხილდება - ღვინოსმეულის, თუ ვინმეს ახრჩობს შური წყველი კაცად მოქცევა - შურმორეულის,

დაახლოება - სულ შორეულის, გაშინება - სულმთავარეულის, დაწმინდაება - წყალამღვრეულის, გზაზე დადგომა - გზაარეულის,

რა მაღლ-სიკეთეს ფხით შენეულით ასხივებ გონით, მთელი სხეულით. მწამს ვერ დაიტყვს წიგნიც ვრცეული და, მითუმეტეს, მცირე რვეული...

გაქვს ენერგია მთების მდინარის - სული რჩეული, - გული გრძნეული, და ქალბატონი კიდევ ვინ არის იყოს მფლობელი ამ განძეულის?!

ალაზა ხაიაური

\*\*\*

მთათა მომღერალსა და მოტრფი-ალეს, ჩემს ახლობელ მეგობარსა და პოეტს - იზა ჯაჭვამის როცა მომიჯრის წამთარი კარებს, როცა ღრუბლები ფიფქებს ბარდნიან, ვკითხულობ ლექსებს -


შენს ცისფერ ბწკარებს, მამულზე ასე რომ ვიდარდია!

ან პოეზია რაა, თუ ბწკართა არ იდავებს და მართლა არ იბჭებს? ანატორიდან ღრუბლების ფარდა, უპეპ მოვშალეთ ფხოვის კარიბჭეს.

ხან შემოდგომის ფერები თოვან, ხან გაზაფხულის მთათა სერები. აბრილის მთები სიმღერას ვთხოვენ, კესელის წვიმებს ავმღერები.

მზერას მოგტაცებს არღუნის ყვფა, ქურანა ცხენის გადანაფრენი. დართლოს ქედებზე ყვავილთა კრეფა, ლურჯი საჯინვე - ნისლის საფენი.

ხან ჩაგაფიქრებს მიმწურნი მთათა,



სოფლის საყდართან ყორნების ყვფა. ხან გარიჟრაჟზე მზეს ვადაპკოცნი, სიცოცხლე ისე ვაძამაყება.

დევები როცა მღერიან, ზეცა იქუფრება და ამოირევა, შენთან მოვა და ფრთებს დაიკეცავს შენთან, დაღლილი ღრუბლების რემა.

ხან გენატრება სტორის ნაბირთან შენი სოფელი, მამის კერია. ჯაჭვისფერია შენი სულის ცა და შენი გვარიც ჯაჭვისფერია.

მურღვა არღოტელი

იზა ჯაჭვამის

ერთგული ცის და ერთგული მიწის, პოეტო დაო, იქნებ დედაოც, ბობოქარ სულით სიბნელეს ებრძვი და მიაჭენებ ცისკენ ბედაურს.

შავეთს დამრჩალა ყველა უფსკრული და მაღლა ასვლა თუკი ვაჭირდა, მეც შენებურად აღმაფრენისთვის ხორცს გამოვიჭრი ალბათ კანჭიდან

და ვადაგრჩებით, ჩემო ფასკუნჯო, მერე კოჭლობით როცა ვაგვივლი, ფრთას მომიხვამ და კანჭს გამიმთილებ, ყველა იარაც თითქმის გამივლის

და უხვად შეგვგამო ლექსის წყაროებს, ოცნებით საგსე ღვინის მათარას, დაქანცულ სხეულს ჩანქერი ვაგბანს, დაღალული ხარ ალბათ რადგანაც.

გულს ამოიგლეჯ მოყვასისათვის, შენს კლანჭებს მტერი ვერ დაურჩება, ამაყი ფრთებით, ზღაპრული სულით, ხარ სიყვარულის აფასკუნჯება!

ქეთევან ღოლიძე

იზა ჯაჭვამის

ჩახახუტები, მოსაფერები, მამულის გამო მტერს რომ აბრაზებს, როცა შეგხვდები, ათას ფერებით გაინიარადნებს სულის დარბაზებს,

პატარა, ცელქი, ეს სტიქიონი მუდამ უხილავ ხმალს და ფარს იქნებს, უცებ თავისი ბროლის სტრიქონით ირგვლივ ყველაფერს ვააფაქიზებს!

მოუფერებლად ხარს არ ვაუვლის, გულს მოიმართავს მთათა მაჯაზე, ჩემი და არის ხარანაულის, მოსიყვარულე იზა ჯაჭვამი!!!

გორჩა ხარანაულო



# „ჩინოვნი მთასა ჰქილივარ“



საქართველოს მწერალთა სასახლეში პოეტის, თვალსაჩინო ჟურნალისტის, საზოგადო მოღვაწის და გაზეთ „კავკასიის“ მთავარი რედაქტორის **იზა ჯაჭვასის** საიუბილეო საღამო გაიმართა, რომელიც გახსნა მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ, მეოცე – ოცდამეერთე საუკუნის ბრწყინვალე ნოველისტმა და კლასიკოსმა მწერალმა **რევაზ მიშველაძემ**. მან შთამბეჭდავი სიტყვა წარმოთქვა და ისაუბრა იზა ჯაჭვასის განსაკუთრებულ ღვაწლზე ჟურნალისტის სფეროში, ასევე პოეზიისა

და მისი საზოგადო მოღვაწეობის შესახებ. იუბილეს უძღვებოდა მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, თვალსაჩინო პოეტი და საზოგადო მოღვაწე **ბადათერ არაბული**. იზა ჯაჭვასის შესახებ ისაუბრა სწორუპოვარმა მთარგმნელმა და მრავალმხრივმა მოღვაწემ **ზეზვა მედუღაშვილმა**, პოეტმა **ლიდა სტეილიამ**, მწერალმა **ზაალ ბოტკოველმა**, საქართველოს ქალთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ქეთევან გაბროშვილმა**, იზა ჯაჭვასის ამავე

საბჭოს თავმჯდომარის **მზექალა შანიძის** სახელით გადასცა **საქართველოს ქალთა საბჭოს საპატიო სიგელი**.

შთამბეჭდავი სიტყვა წარმოთქვა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ, წმ. გიორგის ოქროს ორდენის მფლობელმა მზია ხეთაგურმა, იუბილარი, განსაკუთრებული ღვაწლისათვის დააჯილდოვა სახელობითი პრემიით: „პიროვნება“, ასევე მან ისაუბრა იზა ჯაჭვასის შეუპოვარ, პრინციპულ თვისებებზე, ლირიკულ ლექსებსა და ჩვენს რთულ დროში მისი როგორც დამსახურებული ჟურნალისტის დიდ ყურადღებასა და ღვაწლზე მთიანი რეგიონების პრობლემების მიმართ.

კოლეგებმა წაიკითხეს იუბილარისადმი მიძღვნილი ლექსები. ქალბატონი იზა თავისი ქვეყნის უერთგულესი შვილია. იგი კვლავ ახალგაზრდული შემართებით ებრძვის უსამართლობას. ყოველთვის იქ არის, სადაც მის ქვეყანას სჭირდება, მას განსაკუთრებით მთის პრობლემები აწუხებს. თავად დაიარება სოფლიდან-სოფელში, ხევიდან-ხევი და მარცვალ-მარცვალ აგროეებს მი-

ტოვებულ სოფლებში კანტი-კუნტად დარჩენილი ადამიანების ტკივილსა და სიხარულს, შეულამაზებლად მოგვითხრობს მათი ყოფა-ცხოვრების შესახებ.

**ბატონო ბადათერ!**  
ნაპოლენი ამბობდა: ნიჭიერებასა და ძლიერებას სჭირდება დახმარება, თორემ უნიჭობი და მლიქვნელები თავადაც გაიკვლევენ გზასო, დიდი მადლობა მწერალთა კავშირის ლიდერებს ბატონ **რევაზ მიშველაძეს**, ქალბატონ **მაყვალა გონაშვილს**, **თებურ ჩალაბაშვილს**, **სოსო სიგუას**, პირადად თქვენ, ვინც დაუვიწყარ საღამოებს უწყობთ ისეთ პოეტებს როგორც იზა ჯაჭვასია. პატივისცემით

**ნანა ჭიჭინაძე**

ნისლივით მთასა კვიდვარ – ასე ჰქვია მის ერთ-ერთ კრებულს... შემთხვევითი არ არის ეს სათაური. რომ არა მთის განუზომელი სიყვარული, ეს ქალბატონი ვერ დაწერდა ასეთ მნიშვნელოვან და ალალმართალ სტრიქონებს:  
**„მე მიყვარს შენი შეხსნილი მკერდი, თბილი მკლავები, ცამდე მაღალი, მზეზე ნათელი დიმილი შენი, ისე ღამიანი, როგორც თამარი“...**  
თავის ქვეყანას ერთგულეებას

იმით უმტიციებს, რომ შეუძლებელს აკეთებს გაზეთ „კავკასიის“ არსებობისთვის. მან კარგად უწყის, რას ნიშნავს მთის კენწეროზე შემორჩენილი ადამიანისთვის გაზეთი, სადაც მისი სათქმელი და სადარდელია მოთავსებული.

ეს მოღვაწე ქალბატონი კავკასიური სიჯიუტით და ერთგულებით დადის საქართველოს მთიანეთში და აგროებს გაზეთისთვის საჭირო უნიკალურ მასალებს. ეს მოუსვენარი ქალბატონი „იმედის გმირის“ ღირსებით ატარებს უმძიმეს მორალურ ტვირთს... იგი თავს ვალდებული თვლის იმედის პურივით ჩამოარგოს გაზეთი „კავკასია“ და კიდევ ერთხელ შეახსენოს ადამიანებს ვალდებულება ერისა და ქვეყნის წინაშე.


გილოცავთ, ქალბატონო იზა საიუბილეო თარიღს! ჩვენთვის გადამდებია თქვენი შემართება, ერთუზიანობა...  
სანამ კავკასიონი ღვას, გაზეთ „კავკასიასაც“ ეარსებოს, თქვენ კი – მარადიულად მისი სულისჩამდგმელი ყოფილიყავით!

**ციციწო ბაბუციაძე**

## თარგმანის დიდოსტავი

სერით „კავკასიის ხალხთა ფოლკლორი“ უბიური, ადილური, ფარაჩი-ბაღყარული ფოლკლორის შემდეგ „კავკასიურ სახლს“ 1996 წლის ბოლოსთვის დაგეგმილი ჰქონდა ჩეჩნურ-ინგუშური ფოლკლორის გამოცემა. მაგრამ ჩეჩნეთში დატარებული უბედურებამ გაგვიჩინა სურვილი, დაგვექარებინა ამ წიგნის მიწოდება საზოგადოებისათვის. რადგან ეს სწრაფად ვერ მოხერხდა, ცალკე გამოცემით ჩეჩნური ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა ამ პატარა კრებულს. „ჩეჩნურ-ინგუშური ფოლკლორი“ კი თავისი წესით გამოვა.

სიზუსტის შენარჩუნების მიზნით, ჩეჩნური ფოლკლორიც თარგმნილია ე.წ. ინფორმაციული ანუ ფილოლოგიური თარგმანის პრინციპით, რომელიც წარმოადგენს შუალედურ ფორმას პწკარედულსა და მსატვრულ თარგმანს შორის.



ზეზვა არა მარტო უბადლო მთარგმნელია, არამედ იგი უპირველეს ყოვლისა, ნამდვილი და ფსევდო-ლიტერატურის ერთიმეორისგან გამომიჯნავი ესთეტიკოსია, თავადაც ნიჭიერი პოეტი, მეცნიერი, მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მსატვრული სიტყვის მადლით შთაგონებული ნათელი სულის პიროვნება.

ნასიმი, ფიზული, ვაგიფი, აშული ალესკერი, ს. ვურლუნი, რ. რზა, ს. რუსთამი, ი. პუსეინოვი („მულანას“ ფსევდონიმით), ი. მალიქზადე, ფ. ქარიშხაძე, მ. არაზი, ი. ისმაილზადე, ა. სალაჰზადე, ვ. ნასიბი, ანარი. ა. აილისლი, ვ. სამაღლოლი, ფ. გოჯა, ა. აბდულა, ქ. აბდულა, ვ. ჰაჯილარი, ნურაფიზი, თ. იოლჩუ, ი. მამედლი... აი, იმ კლასიკოსთა თუ თანამედროვეთა სახელები, რომელთა შემოქმედებაც ზეზვას გადმოქართულებით მესახება როგორც აზერბაიჯანული და ქართული სულის ფაქიზად ურთიერთ-მერწყმულ სიტყვათა დიდებული მსატვრული გაღვრვა. ზეზვას ერთი უნიკალური-ბაც ახასიათებს: მან აზერბაიჯანული ეპოსის მწვერვალი – „ქოროლი“ დიდი ოსტატობით თარგმნა



დიდი წარმომადგენლებიც კი, სხვათა კუთვნილებად არიან წარმოჩინებულნი. სასიხარულოა, რომ ბოლო წლებში აზერბაიჯანის რესპუბლიკის მიერ ამ საკითხთან დაკავშირებით სახელმწიფო დონეზე წარმართულმა, მიზანმიმართულმა პოლიტიკამ მრავალ სასიკეთო საქმეს ჩაუყარა საფუძველი, რის შედეგადაც ამ ერთობ არამდგრად დროში, როცა ყველა საკუთარი თავის შესახებ უფრო მეტს გაჰკვივის, ჩვენს ფოლკლორს, კლასიკოსებს დაავიწყების მტვერი ნელ-ნელა ეცლება და

მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანული ლიტერატურა, აზერბაიჯანის ისტორია, მისი კულტურა საერთაშორისო მასშტაბით უფრო მეტ ცნობადობას იმსახურებს, არავისთვისაა საიდუმლო, რომ მრავალი მიზეზის გამოისობით, ამ სფეროს სათანადო ყურადღება დღემდე ვერ მიეცა. ამიტომაცაა, რომ მსოფლიოს სხვადასხვა წამყვან სახელმწიფოში არა მხოლოდ ჩვენი კულინარია, სიმღერები, გენიალური ლიტერატურული შედეგები, ისტორიული ძეგლები, არამედ, ტერიტორიების გარკვეული ნაწილიც და ჩვენი ერის

სინათლეზე გამოტანილინი გაცვილებით მეტი ბრწყინვალეობით იმოსებიან. ეს პროცესი თანდათან იკრებს ძალას, რაშიც უდიდესი წვლილი, ჩვენი დიდი ხნის მეგობარს, აზერბაიჯანული ფოლკლორული ნიმუშების, კლასიკოსების, თუ თანამედროვე მწერლებისა და პოეტების ქართულად სწორუპოვარ მთარგმნელს – ბატონ ზეზვა მედუღაშვილს მიუძღვის.

ზეზვამ პირველი თარგმანები აზერბაიჯანული ლიტერატურიდან 1965 წელს გამოაქვეყნა და მას აქეთ 50 წელია დაუღალავად ეწევა ამ მეტად საპასუხისმგებლო ჭაპანს. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ

**კულტურასაც!**

თვალსაჩინო ქართველ მწერალს, პოეტსა და მთარგმნელს **ზეზვა მედუღაშვილს** დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა. ამასთან დაკავშირებით და თურქმენი კლასიკოსის – მახთუმეულის (მე-18 საუკუნე) პოეზიის ქართულ ენაზე თარგმანებისათვის, თურქმენეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ყურბანყული ბერდი მუხამედოვის ბრძანებულებით იგი დაჯილდოვდა მახთუმეული ფირალის სახელობის მედლით.

გაზეთ „კავკასიის“ რედაქცია დიდი სიხარულით ულოცავს ზეზვა მედუღაშვილს იუბილეს და ამ მაღალ ჯილდოს.

ვუსურვებთ ჯანმრთელობას და კვლავ ახალ-ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

2006 წლის გაზაფხულზე „კავკასიურ სახლში“ ზეზვას ინიციატივით „აზერბაიჯანული ბაიათის საღამო“ გაიმართა. საღამოზე, ზეზვა ორივე ენაზე კითხულობდა ბაიათებს და მსმენელი ალტაცებაში მოჰყავდა, რაც ჩანდა თუნდაც იქიდან, რომ ბევრს თარგმანები მისი ორიგინალური შემოქმედების ნიმუში ეგონა...  
ექვსი წელია, რაც ჩვენი წარდგენის საფუძველზე ზეზვა აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის წევრი გახდა და სამიდე წლის წინათ ამ კავშირის მიერ დაწესებული ნაჯაფ ნაჯაფოვის სახელობისა და საზოგადოება „ბორჩალო“-ს საგანგებო პრემიებით დაჯილდოვდა კიდევ.

დაე, ფეხბედნიერი ყოფილიყოს მსოფლიო პოეზიის მარგალიტთა კრებულის – „1001 ბაიათის“ საქართველოს კაზმულ სიტყვიერებაში თავაწეული შემობრძანება.

**რაზიფ გუზბათი**  
პოეტი, მთარგმნელი, აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის საქართველოს ფილიალის ხელმძღვანელი. აზერბაიჯანის კულტურის ცენტრ „ვარგისის“ დირექტორი;

**გური ოტობაია**  
მწერალი, საქართველოს მწერალთა ერთიანი აკადემიის გამომცემლობა „იბერის“ ფირმა რედაქტორი, საქველმოქმედო ფონდ „პალადიუმის“ თავმჯდომარე.

«მამაო თავმას!»

ბაიამ მომიტანა თქვენი კრებული. მადლობას გიხდით ყურადღებისთვის!

თავიდანვე გადაჭრილად გეტყვით: — გამანარა თქვენმა სამყარომ! გამანარა და გამანსენა, რომ გუდამაყრის ვალი მაქვს დღემდე. იქ სადაც „თეთრი არაგვი შავ არაგვს ერთვის“, ფასანაურთან, „პოპიტელში“, ხუთი ზაფხული მაქვს გატარებული ჩემს ბავშვობაში. მამაჩემი ჩონხლების სახლს ქირაობდა ზედ არაგვის პირას სააგარაკოდ. ეზოში უშველებელი ცაცხვი იდგა. მე ივნისში ვარ დაბადებული და სწორედ მაშინ ყვავილობს ცაცხვი. დღემდე მასსოვს, როგორ გუგუნებდა შუა დღისას ფუტკრით შესული ეს საოცრება, რომლის სურნელიც დღემდე მასსოვს და მესიზმრება არაგვის შხული, რომლის წყალსაც ხშირად ვგვაძლით, რადგან სუფთა იყო და ანკარა.

პარაკვეობით ხევსურები ჩამოდიოდნენ ბაზრობაზე ფასანაურში და დღეაღმდეგ ბუერას ფოთლებში გახვეულ კარაქს ყიდულობდა მთვან. მაშინ ქართული ქართველს ჰგავდა და მე ქვეშეცნულად მიხარობდა მათი სამოსის, მათი მომცრო ცხენების, სატყვერიანი კაცების და ქერად დაღებილი ქალების ყურება!

წყაროს ტუნივით ალალია თქვენი წიგნი და კაცმა რომ თქვას, მეტი არც რა მოეთხოვება! კიდევ ერთხელ მადლობას გიხდით. უფლის კურთხევა არ მოგაკლოთ წუთი-სოფელმა!

პატივისცემით

რეზო აბაშუაშვილი


მამა თავმასის პოეზიას რომ გავეცანი, მეგონა — წყაროს კამკამა წყალში ვიცქირებოდი. ეს არის ნამდვილი, სუფთა, დიდი სიყვარულით და პატრიოტიზმით გაჯერებული ლექსები. მასარებს ის ფაქტობ, რომ ჩვენი შემოქმედებითი ტანდემი შედგა და მომავალშიც ვაპირებ მამაოს პოეზიასთან შესებას. ჩემთვის როგორც კომპოზიტორისათვის, ნამდვილი აღმოჩნდა იყო. მამაოს ყველა ლექსი მღერის, მართლაც რომ მღერის.....

ამისთვის დიდი მადლობა.

პატივისცემით

კომპოზიტორი ქეთი ბაბინიანი

„კაპოს იანანა“



მე თქვენ მიყვარხარო

მადლობას ვწირავ უფალს იმისათვის, რომ ამ საწუთროს მოვევლინე. მადლობა იმისათვის რომ ამ ქვეყანაში, საქართველოში დავიბადე. მადლობა გამჩენს, რომ ღვთის სიყვარული და მადლიერების ნიჭი გადმოძცა. წინამდებარე წიგნი მეორე გამოცემა ჩემს შემოქმედებაში. ძველი და ახალი ლექსები ერთად შევკრიბე, დაურთე ყველა ის ამღერებელი ლექსიც, რომელიც ხშირად ისმის რადიოსა და ტელევიზიის ეთერში. ჩემი ყველა ლექსი და სიმღერა მოკრძალებული საჩუქარია ჩემი სულიერი შეილებისათვის და იმ ჭეშმარიტი მართლმადიდებლებისათვის, რომლებსაც გულმხურვალედ უყვარს მაცხოვარი.

დავბადე 1967 წლის 23 დეკემბერს თიანეთის რაიონის ულამაზეს სოფელ არტანუჯიში, ივრის ხეობაში. ძლიან მიყვარს ჩემი გვარი. ჩონხლები წარმოშობით შავი არაგვის ხეობიდან ვართ. სოფელი ჩონხი გუდაამყარა. ორივე კუთხეს მივუძღვენი ლექსი, „გუდაამყარელი“ და „ფშავლები“. ჩემს ბავშვ-

ვობაში სასულიერო ლიტერატურა მთაში ხელმისაწვდომი არ იყო, მაგრამ დედაჩემი ცდილობდა, ღვთისმოსიშობები გავეზარდეთ. დედა ძალიან მიყვარდა, განსაკუთრებულად კეთილი და მოსიყვარულე ადამიანი იყო. ალბათ მისი მადლი შემეწვია, სასულიერო პირი რომ გავხდი. დედისადმი მიძღვნილი ლექსი, „დედის მონატრება“, დათო არჩვამემ აამღერა. სვედიანი სიმღერა გამოვიდა, ადამიანებს ამ სიმღერის მოსმენისას ცრემლი ერევათ.

როდესაც წამოვიზარდე, ხშირად დავდიოდი ტაძრებში. სიცოცხლის ბოლომდე შემასწავლებდა: ერთხელ, სამთავროს დედათა მონასტერში ერთმა მონაზონმა 50-ე ფსალმუნი მარუქს და მიხვება, ზეპირად მესწავლა. 21-22 წლის წინ შიო მღვიმის მონასტერშიც ვცხოვრობდი. შემდგომ ჩავაბარე სასულიერო სემინარიაში, სტუდენტობის დროს გემუშაობდი სანთლის, ჯვრების საამქროში. თბილისში სახლი არ მქონდა და საპატრიარქოს ერთ პატარა ოთახში ვცხოვრობდი. ის პაწაწინა ოთახი ჩემთვის ყველა სასახლეზე ძვირფასია დღემდე. ეს იყო ბედნიერი დრო ჩემს ცხოვრებაში. დღემდე რამდენიმეჯერ ვხვდებოდი პატრიარქს და მისგან ბევრი კარგი რამ ვისწავლე. მისმა უწმინდესობამ დიაკვნად მაკურთხა და წილკნის ეპარქიაში წარმგზავნა, შემდეგ მღვდლად მაკურთხეს და თიანეთში მოძღვრად განმასწავლა. კომუნისტების შემდგომ ეპოქაში თიანეთის პირველი მოძღვარი ვიყავი. იქ მოქმედი ეკლესია არ იყო და ლოცვებს ვატარებდი სტამბის შენობაში, ზამთარ-ზაფხულს — დია ცის ქვეშ, ყველგან, სადაც ეკლესია-მონასტრის ნანგრევები იყო. თიანეთში ხუთი წელი ვიმსახურე, სანამ არ ინება დამერთმა ჩვენს მიერ დაწესებული ეკლესიის მშენებლობის დასრულება. ახლა, როცა თიანეთში ჩავდივარ, ამ ეკლესიის დანახვა ისე მიხარია, როგორც ჩემი ოჯახის წევრის. მას შემდეგ დედაქალაქში, ჯვარის მამაში ვმსახურობ.

ბებქიჯანა ბოცო ბჰიხეზა

„სივლიერებად ქცეული სიყვარულის წიგნი“

დომენტი სოზაშვილის სახელი და გვარი ამ ორმოციოდე წლის წინ გამოჩნდა ქართული პრესის ფურცლებზე.

გამოჩნდა და ყურადღებას მიიპყრო საქართველოს ბედზე დაფიქრებული კაცის სიალაღითა და გულმართალობით. იგი კახეთის ერთი უმშვენიერესი სოფლიდან — ძველი ანაგიდან გახლავთ. მეზვერემ და მევენახემ არა მარტო ვაზის საიდუმლო იცის, არამედ სოფლის ჭირ-ვარამიც მშვენიერად მოეხსენება და, რაც მთავარია, მისი თანამედროვის სულსაც ღრმად წვდება.

ზემოთ ნათქვამში ამ წიგნი შესული პუბლიცისტური წერილები, მოთხრობები და ნარკვევებიც დავარწმუნებთ.

წიგნი, რომელიც წინ გიდეფთ, დომენტი სოზაშვილის პირველი წიგნია.

ისა და დამრჩენია, გზა დავულოცო ამ მართალ წიგნს და მის ავტორს ახალი შემოქმედებითი წარმატებები ვუსურვო.

რეზაზ მიშვილაძე საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე

დომენტი სოზაშვილი დაიბადა 1949 წელს, მაშინდელი სიღნაღის რაიონის სოფ. ძველანაგაში, მასწავლებლის ოჯახში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ შევიდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და საავტომობილო ტრანსპორტის ინჟინრის დიპლომით დაბრუნდა თავის რაიონში. მუშაობდა წნორის ავტომეურნეობებში. მაშინდელ უძრავობის დროში, უღმერთოდ მოწყობილ ეკონომიკურ სისტემაში მოხვედრილი, ერთ-ერთად კონფლიქტებში ხვდებოდა სამსახურის ბოლოა უფროსებთან, რომლებთანაც მხოლოდ ერთხელ გამოვიდა გამარჯვებული — სსრკ-ის დაშლის დასაწყისში, როცა დაიწყო მრავალ და მრავალ უსამართლობისათვის პასუხის გაცემა; ხალხთან ყოფნა, მათი ცხოვრებით ცხოვრება მისთვის ბუნებრივი გახლდათ.

როგორც პუბლიცისტი, ის რაიონულ გაზეთში გამოქვეყნებული წერილებიდან გაიცნეს. გარდა იმისა, რომ უსამართლობის წინააღმდეგ ხმას იმადღებდა, ის ყოველთვის თავის ხალხზე, ბუნებაზე, სამშობლოზე შეყვარებულ სიტყვის მთქმელად გვევლინებოდა...


რესპუბლიკურ პრესაში პირველად 1981 წ. 30 მარტის „საქართველოს ქალში“ გამოჩნდა; მაშინ აქ პოეტმა ნაზი კილასონიამ მისი, ყველასათვის უცნობი ავტორის „თამარა ბაბო“ დაბეჭდა. შემდგომში ამას მოჰყვა დაბეჭდილი მოთხრობები „საქართველოს ბუნებაში“, რომელსაც ბანი ოთარ ჭვლიძე რედაქტორობდა. დომენტი სოზაშვილის მწერალი შესაძლებლობის ნამდვილ აღიარებად მისი პატარა მოთხრობის „შენ ხარ ვენახის“ დაბეჭდვა გადაიქცა „ციცქრის“ დამატება „ნობათში“, მისი რედაქტორის, პოეტ ბალათერ არაბულის მიერ. ამას მოჰყვა პუბლიკაცია თვით „ციცქარში“, ბ-ნ ზაურ კალანდიას რედაქტორობით.

ქვეყნისთვის მძიმე წლების მერე, 2010 წელს ბედა ის თვით ბატონ რევაზ მიშვილაძეს შეახვედრა; საქართველოს სახალხო მწერალმა ნახა მისი ნაწერები და იმათგან რამოდენიმე უმაღლეს სალიტერატურო რეიტინგის მქონე გაზეთ „მწერლის გაზეთში“ გამოაქვეყნა. ასეთი წარმატების შემდეგ მწერალმა ბუნებრივად იფიქრა წიგნის გამოცემაზე...

დომენტი სოზაშვილს ჰყავს: მეუღლე დალი და ორი ქალიშვილი — დიანა და ნინო. მას განსაკუთრებული სიხარულით ავსებს პირველი შვილიშვილის, გიორგის დაბადება...

წიგნიდან „სიყვარული ჩვენი“

ჯამაზ წერიტელი



„ჯამაზ წერიტელი დაიბადა 1961 წლის 13 ივნისს, განათლებით — ხელოვნებათმცოდნეა. მუშაობდა თბილისის ცენტრალურ ხელოვნების სახლში (ყოფილ მასარაბის ქუჩაზე) რეჟისორის თანაშემწედ... ჯამაზ წერიტელმა პირველი ლექსი გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ ფურცლებზე დაბეჭდა... ჯერაც მესამეკლასელმა. ამ გაზეთის „ბავშვკორიც“ გახლდათ... დაჯილდოებულია ამ გაზეთის „საპატიო სიგელებით“. დაიწყო პოეტი იბეჭდებოდა ჟურნალ „დილაში“, „აი-აიში“, რევაზ მიშველაძის ჟურნალ „ლიმილში“, ბალათერ არაბულის „ციცქრის“ დამატება „ნობათში“. 1995 წელს გამოიცემლობა „გულანმა“ გამოსცა პოეტის ლექსების პირველი კრებული — „მე შენ მიყვარხარ“, პერიოდულად იბეჭდებოდა „მწერლის გაზეთის“ ფურცლებზე, ... ეს კრებულიც სახელწოდებით — „ლექსები“ გამოიცემლობა

„მერანის“ გამოსაცემ პროფილიდან იბეჭდება“

მართლაც და ცნობილი პოეტების გიორგი წერეთლისა და ლიდა სტვილიას შვილი არ არის გასაკვირი — წერადეს ლექსებს! პოეტის ლექსები გერმანიაში ახალგაზრდა ქართველ მწერლებთან ერთად გერმანულ ენაზე გამოცემულ ენციკლოპედიაშიც არის შეტანილი. ჯამაზ წერიტელი საქართველოს მწერალთა კავშირის წევრია 2005 წლიდან, რომლის რეკომენდატორები მარიაკა ბარათაშვილი და ქეთევან ქუჩუკაშვილი გახლავთ; ჯამაზი ბავშვობაში ხატავდა — მამის, დედის ლექსების კრებულებს აფორმებდა... „ნორჩი ლენინელმა“ დაბეჭდა მისი ნახატი — მამის — გიორგი წერეთლის ლექსის — „გმირი კვერცხის ციხიდან“. დედის წიგნი ლირიული ლექსებისა — „ცხრა სიხარულს მოგიტან“. შემოქმედებით პროგრამაში უღვეს — მხატვრულად გაფორმებული.

ჰყავს მეუღლე — სოფლო კერესელიძე, რომელიც ქართული პრესის ერთგული მსახურია და ოჯახის — ჯარისკაცი (ეს დაიბადა სოფლიდან დედა-დედამამილის, პოეტის ლიდა სტვილიას თვალში). ჯამაზ წერიტელის შვილები: მედეა წერეთელი და ლიდა წერეთელი ლირიული ჟურნალისტები გახლავან... პოეტი 17 წლისა დაქორწინდა. შვილიშვილები გიორგი და ვახო კოტორაშვილები სკოლაში დადიან, ლუკა ზუბუა საბავშვო ბაღის აღსაზრდელია.

XXX

დღევანდელი ქართული პოეზიის ერთ-ერთ ნიჭიერ, საიმედო ძალის მქონე ჯამაზ წერიტელს ვუსურვით ჯანმრთელობა, ახალ-ახალი წარმატებები... ელვაწოს... ელვაწოს მალე წელ-გამართულ მის სათაყვანებელ საქართველოში... სულამაღლებულს და მწვერვალებით სავსე პოეზიის გზებზე.

გარსკვლავების მიტინგზე...
... მზის და მთვარის მინდვრებზე:
გარსკვლავების მიტინგი!...
... მისტიური ბოდვები!...
... მისტიური ბრიფინგი!...
— გარსკვლავებო! ყველანი
მთვარისა და მზის არგვლივ!...
... გარსკვლავების მიტინგზე
ღრუბელივით მიფიქრინდი...
როგორც დედამწაწაზე
ძოვს ბატკანი მიფიქრინდი...
...
ღვთისგან არ უწერია
საქართველოს — სიკვდილი!

შვილო ჯამაზ!
...ამ ახალ კრებულს და...
...ამ ახალ 2015 წელს ისეთი ახალი ჯანმრთელი სული მთავებროს... ახალი სიცოცხლე, ძალა, ჩაუქმარალი ხალისი, შნო და ლახათი მოეცეს შენთვის, როგორც სიჭაბუკეში გქონდა, რომ მყავდი სულგაზარებული, მოკაშკაშ-მოელვარე, ის სხივოსნობა დაგბრუნებოდე, ჩემო ვაჟკაცო შვილო!...
...მრავალ ახალ წელს — საქართველოსთან, მწერალთა კავშირთან, ამ კრებულის რედაქტორის — საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი თავმჯდომარე ქალის — პოეტ მაყვალა გონაშვილთან ერთად! შენ ტკბილ ცოლ-შვილთან, შვილიშვილებთან, ნათესავ-მეგობრებთან, მოყვრებთან, მეზობლებთან, თანამოკალმეებთან... ჩემთან ერთად განუყრელად!!!
— აბა, შენ და შენებურმა ჯამაზ წერიტელმა! ამ ახალი წლიდან!

ლიდა სტვილია

# გოლო გვირდი

## ჩვენო სანაყო და ებენდარულო დაო!..



რამწო, ჩვენი ოჯახის – ჯაჭვაძეების ნიჭით, სწავლით, შრომით და კეთილშობილებით გამორჩეული ლეგენდარული დაო!..

ბავშვობიდანვე შენზე გადიანა მიმიე შრომამ და მარჯვენა შენი არ გაჩერებულა. თელავის რაიონის ფშავლის საშუალო სკოლა წარჩინებით დაამთავრე და იმავე წელს თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის ინგლისური ენის ფაკულტეტის საღამოს დასწრებულზე ჩაირიცხე. სწავლის პარალელურად მსახურობდი და გვარჩენდი...

წლებადღელი 13 მაისი ჩვენთვის თავზარდამცემი აღმოჩნდა. ხუთი დამიდან განგებამ შენ შეგარჩია პირველი. ჩვენი სამაყო მშობლები: მამა – პოეტი ჟურნალისტი, პედაგოგი, რაიონის კულტურის ძეგლთა დაცვის თავჯდომარე და საზოგადო მოღვაწე გახლდათ. დედა – ნატო (ნატაშა) დიასახლისი. შრომისგან განაწამებნი, იმედები და სიხარულები ამყამად იქ, სტორის ხეობაში, ფშავლის წმინდა მიწაზე განისვენებენ.

ასე მოკლე სიცოცხლე საწუთრომ რატომ ინება შენთვის ჩვენო დაიკო – რენო. ვიდრე იყავი, დრომ ვერა დაგაკლო

რა... წახვედი და თან წაიღე დარდინი, ნატანჯი და კეთილი გული, განუზორციელებელი ოცნებები, ჩანაფიქრები... ჩვენი სიყვარულიც თან გაიყოლე მარადიული ცხოვრების საგზლად.

არ დაგეგვიწყდება შენი ლამაზი, დიდრონი და მზრუნველი თვალების სითბო.

შენ სტორის, ფშავლის წმინდა მიწა უნდა დაგვროდა, მაგრამ მიწეზეთა გამო რა დასანანია, რომ ასე არ მოხდა...

დიდი სიყვარულის მიუხედავად ჩვენს დედას ნატოს და მამას – ზაქარიას, პაპა-ბებიებს, დედლებს, მამიდა მართას და ფატი მამიდას, ბიძებს, ბიძაშვილებს... დეიდაშვილებს... სანათესაოს... ვის აღარ და... როგორ გაიხარებთ!

მარადიული ნათელი გეგინოს ჩვენო ულამაზესო და მოამაგე დაო, რენო!...

ირაკლი, ანზორ, ზოია, იზა ჯაჭვაძეები

### რტოეპი

reno j allvazEs

ღურჯაბიანს და ღურჯაბალა იას ვინ მიეხურა კარები ღია,

მე მოვალ შენთან ადრე თუ გვიან, თუნდ მთებმა ნისლი სეგებს ჩაჰკიდოს, კრიახის ბილიეს დაგვიარ მარტო, რომ ფიქრი

მაცნედ გამოგაკიდო. ძალიან დიდხანს, დიდხანს გგტოვებდი, ჩვენთვის გათეთრდი ვერცხლის რტოებით, ვიფიქრე ბევრი, ვიფიქრე ბევრი, ვერცხლისფერ ნისლზე დაგავწე ფრთები, რომ მომეტანა შენთვის სინაზე,

და მზით დამწვარი გაშლილი თმები!

იზა ჯაჭვაძე


1978 წელი

და-მები: ირაკლი, იზა, ზოია, ანზორ ჯაჭვაძეები, დისშვილი – ლაშა გიორგი კრავიშვილი, ძმისშვილები: ნინო, ნატო, ეკა, ზაქრო, მარი ჯაჭვაძეები, ძმის შვილიშვილები: ვალერი, თამუნა, მათე, გაბრიელი და გიორგი. უახლოესი ნათესავები: სულა (გიორგი) იორდანიშვილი, ლელა და გონა შათირიშვილები  
დიდი მწუხარებით იწყებთან, რომ გარდაიცვალა უნიჭიერესი და უკეთილშობილესი პიროვნება, ჩვენი გვირის სამაყო შვილი  
**რამწო ზაქარიას ასული ჯაჭვაძე**

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთი“ თანაუგრძობენ მწერალსა და ჟურნალისტს იზა ჯაჭვაძეს დის  
**რამწო ჯაჭვაძის**  
გარდაცვალების გამო

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის თანამშრომლები თანაუგრძობენ კოლეგასა და მეგობარს იზა ჯაჭვაძეს დის  
**რამწო ჯაჭვაძის**  
გარდაცვალების გამო და ასევე თანაუგრძობენ განსვენებულის ახლობლებს.

## „კაპის იანჯა“



**მეგვს მეუღლე ქეთევან (დალი) ზურაბიშვილი და ორი შვილი მარიამი და ვაჟა.** მარიამი 15 წლისაა, ხატავს, ლექსებს წერს, მღერის, უკრავს ფანდურზე. ვაჟა 8 წლისაა, ავადმყოფობის გამო მხედველობა დაკარგა. როდესაც ჩემს შვილს, ვაჟიკას, გულში ჩავიკრავ და თვალებში ჩახედავ, გული მტკივა, ის მე ვერ მხედავს. ეს ჩემს გულში ღია ჭრილობაა. ამ ჭრილობით დავდივარ და დავატარებ ჩემ გულისტკივილს. სულ მინდოდა, მისთვის რაღაც განსაკუთრებული გაემეკეთებინა, რომელიც დროს გაუძლებდა, ამ სურვილმა დამაწერინა „მამის იანჯანა“, სადაც მამა უმღერის შვილს. დიდად ვემადლოები არჩევს, რომ ეს ლექსი აამღერა. ეს სიმღერა ყველა შვილს ეძღვნება მამისგან. მამებს შეუძლიათ უმღერონ შვილებს.

ლექსებს ბავშვობიდან ვწერდი, მაგრამ სერიოზულად არასოდეს დავიკავამდი. 2010 წლის 29 მაისს პატრიარქი ბრძანდებოდა ჯვარის მამაში. როდესაც ხატაწერის ოთახს ათვალღერებდა, მკითხა: „შენ ხატავ?“ მე არა, ჩემი ქალიშვილი ხატავს მეთქი, მორიდებით ვუპასუხე. იქ სამი მოძღვარი ვიყავით და გვითხრა: „თქვენ უნდა დახატო, დაწერო, შექმნათ არა მარტო სასულიერო სფეროში, არამედ საეროშიც“, – თითქოს კურთხევა მოგვცა. მადლობა მის უწმინდესობას ამისათვის, მან იცის, როგორ გააღვივოს ადამიანში ის ნიჭი, რაც ადამიანს გააჩნია. რამდენიმე დღის შემდეგ დავწერე ჩემი პირველი ლექსი „გუდამაყრელი“, რომელიც მალევე ამღერდა.

**გიორგი ჩიტაური** გახლავთ ის პირველი ადამიანი, რომელმაც ჩემს ლექსებში სიმღერა აღმოაჩინა, ხოლო **კახა მანგოშვილმა** შეასრულა.

მოკრძალებულად გთავაზობთ ჩემ მიერ დაწერილ ლექსებს.

მადლობა ღმერთს ყველაფრისათვის!.. უღრმესი მადლობა მის უწმინდესობას, ჩვენს **კათოლიკოს-პატრიარქს, ილია მეორეს** იმ სტიმულისათვის, ლექსების წერა რომ დამაწყებინა. უბედნიერესი ადამიანი ვიყავი, როცა მან ჩემი ლექსები წაიკითხა და პოეტი მიწოდა.

საბედნიეროდ, ქვეყანაზე სიკეთე არ დაილევა. მადლიერებით ვლოცავ ყველა იმ კეთილ, ნიჭიერ დაწარმატებულ ადამიანს, ვისი წყალობითაც ჩემი ლექსები ამღერდა.

**დათო არჩვამე, გიორგი ჩიტაური, კახა მანგოშვილი, დათო კენჭიაშვილი, ანსამბლი „ფაეტონი“, საპატრიარქოსთან არსებული ანსამბლი „ღები გოგოჭურები“, დავით კიკაბიძე, „ქართული ხმები“, „თეატრალური კვარტეტი“, ქეთევან გაბისიანი, შორენა ჩოლოყაური, ზურაბ დათიკაშვილი, მარიკა კვალიაშვილი, მაცაცო სეფიკვერაძე, ნუნუ გაბუნია, მიშა ზაქარეიშვილი, თემურ წიკლაური, გუნდი „მომახილი“, ამირან ჩოხელი და ანსამბლი „ქალღა“, დები ჭოხონელიძეები, ანსამბლი „ინანა“, ნანა აბშილავა, სოფი რაფაელა, ეთი ბროლაძე, მარიკა ქაცარავა, ანსამბლი „ანანური“, კვარტეტი „ჰანგები“** – ამ ადამიანებმა გააცხოველეს ჩემი ლექსები, ამ ადამიანების უანგარო დახმარებით მოიხმინა ჩემს ტექსტზე დაწერილი სიმღერები სრულიად საქართველომ. მათი ყურადღება და თბილი დამოკიდებულება მთელი ცხოვრება შემანსოვრება.


თანადგომისთვის მადლობას მოვასხენებ სიკეთის მკეთებელ, მოწყალე ქრისტიანებს: **მაკა შაუთიძეს, დავით ხაზარაძეს, დავით მიქელაძეს, გონა ხანდოლიშვილს და ლევან წიკლაურს.**

მე თქვენ მიყვარხართ, ჩემო მკითხველო და მსმენელო!..

ქრისტესმიერი სიყვარულით,

**ღეგანოზი თაგმას ჩოსელი.**

## ჩვენი სამშობლო



მდინარე სტორი

<p><b>კაჭვაძისა</b></p>	<p><b>დამფუძნებელი, გამომცემელი და მთავარი რედაქტორი</b></p> <p><b>იზა ჯაჭვაძე</b></p>	<p><b>რედაქტორი ლაშაბიორგი პრავეიშვილი</b></p>	<p>სარემალქციო კოლმზნი: დიანა გიგიაძე, ივანე წიკლაური, ჯუმბერ გოგრიძიანი, რეზო კობიაშვილი, გიორგი იჩუაძე, ნუგზარ ილიძე, ლევან ცალუღლაშვილი, მარინე თეთიუმანიძე, ნატა ბორჩაშვილი, ლეილა არჩმაშვილი, გულყო კობიაშვილი, გონა ხარაბაული, მზია ხეთაგური, ომარ მარუტაშვილი.</p> <p>ბავთით არ ხამონხაბას არც ერთი კოლიტიპური პარტიის ინტერესს, ავტორები თავადაც ამონ კასუს მასაღუზი მუხანწილი ფაჭამის სისწორიში, ავტორთა მოსაზრებანი შესალოა არ თონხმომოს რედაქციის კოშიციას. ბავთითან მასალის ბაღაბაღა რედაქციისთან შემთხმმულად დაუმზებულა.</p>	<p><b>მისამართი:</b> კოსტავას ქ.№14 ტელ: 599-79-76-13</p> <p>დაგებადონდა კობა ბედოიძის დისანტენტრში www.bedoidze.site.ge</p>
-------------------------	--	--	---	--